

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №22

2014 წლის 3 იანვარი

ქ. თბილისი

ტექნიკური რეგლამენტის „განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე მცენარეთა ახალი ჯიშების მიმართ მოთხოვნებისა და გამოცდის მეთოდების“ დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 103-ე მუხლის პირველი, მეხუთე ნაწილების, 104-ე მუხლის მეორე ნაწილის, და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული:

ა) ტექნიკური რეგლამენტი - განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე ცერცველას (*Vicia faba* L. Var. *minor*) ახალი ჯიშის მიმართ მოთხოვნები და გამოცდის მეთოდები (დანართი №1, №1ა);

ბ) ტექნიკური რეგლამენტი - განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე მუხუდოს (*Cicer arietinum* L.) ახალი ჯიშის მიმართ მოთხოვნები და გამოცდის მეთოდები (დანართი №2, №2ა);

გ) ტექნიკური რეგლამენტი - განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე ოსპის (*Lens culinaris* Medic) ახალი ჯიშის მიმართ მოთხოვნები და გამოცდის მეთოდები (დანართი №3, №3ა);

დ) ტექნიკური რეგლამენტი - განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე სოიას (*Glycine max* (L.) Merrill) ახალი ჯიშის მიმართ მოთხოვნები და გამოცდის მეთოდები (დანართი №4, №4ა);

ე) ტექნიკური რეგლამენტი - განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე ლობიოს (*Phaseolus vulgaris* L.) ახალი ჯიშის მიმართ მოთხოვნები და გამოცდის მეთოდები (დანართი №5, №5ა);

ვ) ტექნიკური რეგლამენტი - განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე თუთის (*Morus alba* L.) ახალი ჯიშის მიმართ მოთხოვნები და გამოცდის მეთოდები (დანართი №6, №6ა);

ზ) ტექნიკური რეგლამენტი - განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე ხახვის (*Allium cepa* L.) და ჭლაკვის (*Allium ascalonicum* L.) ახალი ჯიშის მიმართ მოთხოვნები და გამოცდის მეთოდები (დანართი №7, №7ა);

თ) ტექნიკური რეგლამენტი - განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე კომბოსტოს (*Brassica oleracea* L.) ახალი ჯიშის მიმართ მოთხოვნები და გამოცდის მეთოდები (დანართი №8, №8ა).

მუხლი 2

ძალადაკარულად გამოცხადდეს „განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე მცენარეთა ახალი ჯიშების მიმართ მოთხოვნებისა და გამოცდის მეთოდების დამტკიცების შესახებ“, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2010 წლის 6 აპრილის №2-47 ბრძანება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის პირველი იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი



ტექნიკური რეგლამენტი განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე ცერცველას ახალი ჯიშის მიმართ (*Vicia faba L. Var. minor*) მოთხოვნები და გამოცდის მეთოდების შესახებ

მუხლი 1. განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე ცერცველას ახალი ჯიშის მიმართ მოთხოვნებისა და გამოცდის მეთოდების საგანი

განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე ცერცველას ახალი ჯიშის მიმართ მოთხოვნები და გამოცდის მეთოდები (შემდგომში – მეთოდები) გამოყენებული უნდა იქნეს ცერცველას ყველა ჯიშისათვის.

მუხლი 2. გამოცდის ჩატარებისათვის საჭირო მასალები

1. „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული აკრედიტებული პირები წყვეტენ როდის, სად, რა რაოდენობისა და ხარისხის მცენარეული მასალა უნდა იქნეს წარდგენილი მცენარის ჯიშის გამოცდის ჩატარებისათვის. პირი, რომელიც წარადგენს მცენარეულ მასალას, ვალდებულია დაიცვას აკრედიტებული პირების მიერ დადგენილი პროცედურა და მოთხოვნები.

2. გამოსაცდელი ჯიშის მცენარეული მასალის მინიმალური რაოდენობა უნდა შეადგენდეს 3 კილოგრამს ან 6000 მარცვალს.

3. გამოცდისათვის გადაცემული მცენარეული მასალის ხარისხობრივი მაჩვენებლები უნდა აკმაყოფილებდეს აღმოცენებადობის, თესლის სიწმინდის, მავნებელ-დაავადებებით დასნეოვნების და ტენიანობის დადგენილ ნორმებს, ამასთან სასურველია, რომ თესლის აღმოცენების უნარი იყოს მაღალი.

4. ჯიშის გამოსაცდელად აკრედიტებული პირებისათვის მიწოდებული მცენარეული მასალა ქიმიური საშუალებებით არ უნდა იყოს დამუშავებული, თუ ამას არ მოითხოვს აკრედიტებული პირი, ასეთ შემთხვევაში მცენარეულ მასალას თან უნდა ერთოდეს ქიმიური საშუალებებით დამუშავების მეთოდის დაწვრილებითი აღწერა.

მუხლი 3. გამოცდის მიმდინარეობა და დაკვირვება

1. გამოცდის ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს ორ სავსეგეტაციო პერიოდს.

2. მინდვრის კვლევა უნდა ჩატარდეს ერთ ადგილზე, ხოლო, თუ ამ ადგილზე შეუძლებელია ჯიშის რომელიმე ნიშან-თვისების გამოკვლევა, მაშინ გამოცდა უნდა ჩატარდეს დამატებით სხვა ადგილზე.

3. მინდვრის კვლევა უნდა ჩატარდეს მცენარის ნორმალური ზრდა-განვითარების პირობებში, იმ მიზნით, რომ გამოვლინდეს ჯიშისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები.

4. ნათესი ისე უნდა მოეწყოს, რომ სავსეგეტაციო პერიოდის დასრულებამდე მოხერხდეს დაუზიანებლად ცალკეული მცენარის ან მისი ნაწილების ამოღება და მათზე დაკვირვების ჩატარება.

5. კვლევა უნდა ჩატარდეს არანაკლებ 160 მცენარეზე, ორ განმეორებად.

6. დამატებითი გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს შესაბამისი ნიშან-თვისებების გამოსაკვლევად.

7. ყველა დაკვირვება უნდა ჩატარდეს 60 მცენარეზე ან მის ნაწილებზე.

8. გამოცდის საფუძველზე მიღებული შედეგების მიხედვით დგება მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობა ანკეტის შესაბამისად (დანართი №1^ა).

მუხლი 4. ჯიშების დაჯგუფება

1. განსხვავებულობის შესაფასებლად ჯიშების კოლექცია შეიძლება დაიყოს ჯგუფებად. ჯიშების დაჯგუფებისათვის გამოიყენება ისეთი ნიშან-თვისებები, რომლებიც ცდაში არ ცვალებადობს, ან ცვალებადობა უმნიშვნელოა და კოლექციაში წარმოდგენილია თანაბრად.

2. ჯიშის დახასიათებისთვის რეკომენდებულია შემდეგი ნიშან-თვისებების გამოყოფა:

ა) გვერდითი ფოთოლაკი: მელანინის ლაქა;

ბ) მცენარე: ზრდის ტიპი;

გ) მშრალი თესლი: თესლის კანის ფერი.

მუხლი 5. ჯიშის ნიშან-თვისებები და აღნიშვნები

1. განსხვავებულობის, ერთგვაროვნების და სტაბილურობის შესაფასებლად გამოყენებული ნიშნები მოცემულია მე-6 მუხლით გათვალისწინებულ ნიშან-თვისებების ცხრილში.

2. შედეგების ელექტრონული დამუშავებისათვის ნიშან-თვისებების გამოკვეთილობის სიდიდეებს მინიჭებული აქვს ინდექსები (რიცხვები).

3. ნიშნები:

ა) ნიშანი (*) მიუთითებს, რომ მოცემული ნიშან-თვისება უნდა აღინიშნებოდეს ყოველ სავეგეტაციო პერიოდში ყველა ჯიშის შესაფასებლად და ყოველთვის უნდა იქნეს ჩართული ჯიშის აღწერილობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა წინამორბედი ნიშნის გამოკვეთის ხარისხი უფრო მეტად მიუთითებს მის არარსებობას ან/და როცა გარემო პირობების გამო ამის გაკეთება შეუძლებელია;

ბ) ნიშანი (+) მიუთითებს, რომ ნიშან-თვისების აღწერილობას.

მუხლი 6. ნიშან-თვისებების ცხრილი


№	ნიშან-თვისება	გამოხატვის ხარისხი	ჯიშ-ეტალონი	ინდექსი
1.	ფოთოლი: ფერი	ღია მწვანე საშუალო მწვანე მუქი მწვანე მოლურჯო მწვანე რუხი მწვანე	Tista, Hiverna Gloria Columbo	1 2 3 4 5
2. (*)	ყვავილობის დრო: (მცენარეთა 50% არანაკლებ ერთი ყვავილით)	ძალიან ადრეული ადრეული საშუალო გვიანი ძალიან გვიანი	Pistache Victor Vasco Hiverna	1 3 5 7 9
3.	ჯიშები მხოლოდ მელანინის ლაქით: ღერო: ანტოციანური შეფერვა	სუსტი საშუალო ძლიერი	Pitsache, Divine Victor	3 5 7
4. (*)	ფოთოლაკი: სიგრძე (ფოთოლაკის ბაზალური წყვილი ყვავილობის მეორე ფაზაში)	მოკლე საშუალო გრძელი	Pistache, Delta Victor Limbo	3 5 7
5. (*)	ფოთოლაკი: სიგანე (როგორც 4)	ვიწრო საშუალო ფართე	Castel Columbo, Karl Condor	3 5 7
6. (*)	ფოთოლაკი: სიგანის	წვეროსკენ მიმართული	Pistache	1

	მაქსიმუმი	შუაში ძირისკენ მიმართული	Signal Victor	2 3
7. (*)	ყვავილი: სიგრძე	მოკლე საშუალო გრძელი	Pistache Caspar Victor	3 5 7
8. (*)	ბუტკო: მელანინის ლაქა	აღინიშნება არ აღინიშნება	Caspar Victor	1 9
9. 61- 65 (*)	ბუტკო: მელანინის ლაქის შეფერილობა	ყავისფერი შავი რუხი ყვითელი	Goldrush Condor	1 2 3
10. (*)	სტანდარტი: ანტონციანური შეფერვა	აღინიშნება არ აღინიშნება	Caspar Pistache, Condor	1 9
11. (+)	სტანდარტი: ანტონციანური შეფერვის ზღვარი	მოკლე საშუალო გრძელი	Pistache Hiverna	3 5 7
12. (*) (+)	მცენარე: ზრდის ტიპი	განსაზღვრული განუსაზღვრელი	Tista Condor	1 2
13. (*)	მცენარე: სიმაღლე	დაბალი საშუალო მაღალი	Pistache Columbo Condor	3 5 7
14.	ღერო: ნაზარდების რაოდენობა (პირველ ყვავილობამდე და მისი ჩათვლით)	ცოტა საშუალო ბევრი	Columbo Caspar Vasco	3 5 7
15.	პარკი: სიგანე (ნაწიბურიდან ნაწიბურამდე)	ვიწრო საშუალო განიერი	Condor Pistache Victor	3 5 7
16. (+)	მშრალი თესლი: შუაგულის ფორმა	მრგვალი ოვალური არათანაბარი	Maris Bead Condor Columbo	1 2 3
17. (*)	მშრალი თესლი: 100 თესლის წონა	დაბალი საშუალო მაღალი	Condor, Gloria Victor Pistache	3 5 7
18. (+) (*)	მშრალი თესლი: თესლის კანის ფერი (მოსავლის აღებისას)	მწვანე წითელი იასამნისფერი შავი	Condor Caspar Palacio Tyrol	1 2 3 4 5 6
19. (+)	მშრალი თესლი: შავი პიგმენტაცია	აღინიშნება არ აღინიშნება	Victor Condor	1 9

მუხლი 7. დაკვირვების მიმდინარეობის ახსნა და მეთოდები.


1. თუ 4 და 5 ფოთოლაკის ორ წვეილს შორის ზომიში აღინიშნება სხვაობა, კვლევისათვის უპირატესობა ენიჭება შედარებით დიდს.

2. ფოთოლაკი: სიგანის მაქსიმუმი



1

წვერისკენ მიმართული



2


შუაში



3


ძირისკენ მიმართული

3. ყვავილი: სიგრძე




4. ბუტკო: მელანინის ლაქა ყვავილის ბუტკოზე შეესაბამება ტანინის შემცველობას. ამ მახასიათებლის შესაფასებლად ვიყენებთ შემდეგ მეთოდს: ტანინის შემცველობა შესაძლებელია შემოწმდეს თესლის კანის ნაწილის ამოღებით და მასზე რეაქტივის 1 ან 2 წვეთის დაწვეთებით შიდა მხარეს. ტანინის თანაობისას ღია ვარდისფერი შეფერილობა ჩნდება 1 ან 2 წუთში. (რეაქტივი: A= 50% ეთანოლი; B= 1% ვანილის კონც. HCl; რეაქტივი A და B შეფარდება 1:1 – თან).

5. სტანდარტი: ანტონციანური შეფერვის ზღვარი, რომლის შესწავლა მიმდინარეობს სტანდარტის შიდა მხარეზე.



6. მშრალი თესლი: შუაგულის ფორმა



7. მშრალი თესლი: თესლის კანის ფერი (მოსავლის აღებისას), რომელიც შეიცავს ტანინს, მოსავლის აღების შემდეგ ყავისფერი შეფერილობის ხდება.

8. მშრალი თესლი: შავი პიგმენტაცია:

ა) ერთგვაროვნების შესაფასებლად რეკომენდებულია 5%-იანი პოპულაციური სტანდარტი არანაკლებ 95% გამოსავლიანობის ალბათობით. ის ჯიშები, რომელთა გენეტიკური სტრუქტურა ავლენს მის ჯიშურ მახასიათებლებს, სელექციონერს შესაძლებლობას აძლევს მიიღოს სტაბილური

ჯიში. ამასთანავე, ეს მახასიათებლები არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ჯიშების განსხვავებულობის კრიტერიუმის დასადგენად;

ბ) ჯიშები, რომლებიც ამჟღავნებენ სეგრეგაციას, მისი ნიშან-თვისებები უნდა იქნეს აღწერილი და თანდართული.

9. ფენოლოგიური ზრდის ეტაპები და *Vicia faba* L.-ის BBCH – საინდენტიფიკაციო გასაღები.

10. ზრდის ეტაპი 0: აღმოცენება: მშრალი თესლი:

- ა) 01 თესლის ასიმილაციის დასაწყისი;
- ბ) 02 თესლის ასიმილაციის დასრულება;
- გ) 03 თესლიდან ფესვის წარმოქმნა;
- დ) 02 ყლორტის წარმოქმნა თესლისგან;
- ე) 02 ყლორტის ზრდა ნიადაგის მიმართულებით;
- ვ) ყლორტის აღმოცენება ნიადაგიდან.

11. ზრდის ეტაპი 1: ფოთლის განვითარება:

- ა) ფოთლის ზომა შესამჩნევია;
- ბ) პირველი ფოთოლი გაიშალა;
- გ) 2 ფოთოლი გაიშალა;
- დ) 3 ფოთოლი გაიშალა;
- ე) 4 ფოთოლი გაიშალა;
- ვ) 5 ფოთოლი გაიშალა;
- ზ) 6 ფოთოლი გაიშალა;
- თ) 7 ფოთოლი გაიშალა;
- ი) 8 ფოთოლი გაიშალა;
- კ) 9 ან მეტი ფოთოლი გაიშალა.

12. ზრდის ეტაპი 2: გვერდითი ყლორტების ჩამოყალიბება:

- ა) არ არის გვერდითი ყლორტები;
- ბ) გვერდითი ყლორტების განვითარების დასაწყისი;
- გ) გამოჩნდა 2 გვერდითი ყლორტი;
- დ) გამოჩნდა 3 გვერდითი ყლორტი;
- ე) გამოჩნდა 4 გვერდითი ყლორტი;
- ვ) გამოჩნდა 5 გვერდითი ყლორტი;
- ზ) გამოჩნდა 6 გვერდითი ყლორტი;
- თ) გამოჩნდა 7 გვერდითი ყლორტი;
- ი) გამოჩნდა 8 გვერდითი ყლორტი;
- კ) გვერდითი ყლორტების განვითარების დასასრული: 9 ან მეტი გვერდითი ყლორტი ჩანს.

13. ზრდის ეტაპი 3: ღეროს დაგრძელება

- ა) ღეროს დაგრძელების დასაწყისი;
- ბ) ერთი შესამჩნევი გაფართოებული მუხლთშორისი;
- გ) 2 შესამჩნევი გაფართოებული მუხლთშორისი;
- დ) 3 შესამჩნევი გაფართოებული მუხლთშორისი;
- ე) 4 შესამჩნევი გაფართოებული მუხლთშორისი;
- ვ) 5 შესამჩნევი გაფართოებული მუხლთშორისი;
- ზ) 6 შესამჩნევი გაფართოებული მუხლთშორისი;
- თ) 7 შესამჩნევი გაფართოებული მუხლთშორისი;
- ი) 8 შესამჩნევი გაფართოებული მუხლთშორისი;
- კ) 9 ან მეტი შესამჩნევი გაფართოებული მუხლთშორისი.

14. ზრდის ეტაპი 5: ყვავილედის გამოჩენა:

ა) 50 ყვავილის კოკორი ჩანს, ჯერ კიდევ ფოთლებით დაფარული;
 ბ) 51 პირველი ყვავილის კოკორი ფოთლების გარეგანი მხრიდან ჩანს;
 გ) 52 პირველი დამოუკიდებელი ყვავილის კოკორი ჩანს ფოთლის გარეგანი მხრიდან, მაგრამ მაინც დახურულია;

დ) 50 პირველი ყვავილის ფურცელი ჩანს, უმეტესობა დამოუკიდებელი ყვავილის კოკორი მაინც დახურულია.

15. ზრდის ეტაპი 6: ყვავილობა:

- ა) 50 პირველი ყვავილის გაშლა;
- ბ) 50 ყვავილზე პირველი კოკორი გაშლა;
- გ) 50 ყვავილზე 3 კოკორის გაშლა;
- დ) 50 სრული ყვავილობა: ყვავილზე 5 კოკორის გაშლა;
- ე) 50 ყვავილობის შესუსტება;
- ვ) ყვავილობის დასასრული.

16. ზრდის ეტაპი 7: ნაყოფის განვითარება:

- ა) პირველმა პარკმა მიაღწია საბოლოო სიგრძეს;
- ბ) პარკების 10%-მა მიაღწია საბოლოო სიგრძეს;
- გ) პარკების 20%-მა მიაღწია საბოლოო სიგრძეს;
- დ) პარკების 30%-მა მიაღწია საბოლოო სიგრძეს;
- ე) პარკების 40%-მა მიაღწია საბოლოო სიგრძეს;
- ვ) პარკების 50%-მა მიაღწია საბოლოო სიგრძეს;
- ზ) პარკების 60%-მა მიაღწია საბოლოო სიგრძეს;
- თ) პარკების 70%-მა მიაღწია საბოლოო სიგრძეს;
- ი) პარკების 80%-მა მიაღწია საბოლოო სიგრძეს;
- კ) თითქმის ყველა პარკმა მიაღწია საბოლოო სიგრძეს.

17. ზრდის ეტაპი 8: დამწიფება:

- ა) სიმწიფის დასაწყისი: მწვანე თესლი, პარკის ღრუს შევსება;
- ბ) პარკების 10% მწიფეა, თესლი მშრალი და მაგარია;
- გ) პარკების 20% მწიფეა, თესლი მშრალი და მაგარია;
- დ) პარკების 30% მწიფეა და მუქი, თესლი მშრალი და მაგარია;
- ე) პარკების 40% მწიფეა და მუქი, თესლი მშრალი და მაგარია;
- ვ) პარკების 50% მწიფეა და მუქი, თესლი მშრალი და მაგარია;
- ზ) პარკების 60% მწიფეა და მუქი, თესლი მშრალი და მაგარია;
- თ) პარკების 70% მწიფეა და მუქი, თესლი მშრალი და მაგარია;
- ი) პარკების 80% მწიფეა და მუქი, თესლი მშრალი და მაგარია;
- კ) სრული სიმწიფე: თითქმის ყველა პარკი მუქია, თესლები მშრალი და მაგარი.

18. ზრდის ეტაპი 9: დაბერება

- ა) ღერო იწყებს გამუქებას;
- ბ) ღეროთა 50% ყავისფერია ან შავი;
- გ) მცენარე კვდება და შრება;
- დ) მოსავლის აღების დასასრული.

ანკეტა

1. კულტურა ცერცველა
(ქართული დასახელება)

Vicia faba L. var. minor
(ლათინური დასახელება)

2. განმცხადებელი (სახელი, გვარი, მისამართი)

3. ჯიშის დასახელება _____

4. ინფორმაცია ჯიშის გამოყვანაზე, წარმოშობაზე და გამრავლებაზე.

5. ჯიშის სახეობა:

ა) ღიად დამტვერილი ჯიში []

ბ) სხვა []

(მიუთითეთ დეტალები)

6. გენეტიკური ან სელექციური მეთოდი:

7. სხვა ინფორმაცია

8. ჯიშის ნიშან-თვისებები

	ნიშან-თვისება	ინდექსი	გამოხატვის ხარისხი	ეტალონი ჯიში
1.	ყვავილობის დრო: (მცენარეთა 50% არანაკლებ ერთი ყვავილით)	1 [] 3 [] 5 [] 7 [] 9 []	ძალიან ადრეული ადრეული საშუალო გვიანი ძალიან გვიანი	Pistache Victor Vasco Hiverna
2.	ბუტკო: მელანიზის ლაქა	1 [] 2 []	აღენიშნება არ აღენიშნება	Sirtaki, Twist Castor, Sombrero
3.	მცენარე: ზრდის ტიპი	1 [] 2 []	განსაზღვრული განუსაზღვრელი	Tista Condor
4.	მცენარე: სიმაღლე	3 [] 5 [] 7 []	დაბალი საშუალო მაღალი	Pistache Columbo Condor
5.	მშრალი თესლი: 100 თესლის წონა	3 [] 5 [] 7 []	მცირე საშუალო დიდი	Condor, Gloria Victor Pistache
6.	მშრალი თესლი: კანის ფერი	1 [] 2 []	ღია ყავისფერი მუქი ყავისფერი	Condor Caspar

	(მოსავლის აღების შემდეგ)	3 []	მწვანე	Palacio Tyrol
		4 []	წითელი	
		5 []	იასამნისფერი	
		6 []	შავი	

9. მსგავსი ჯიშები და მათგან განსხვავებები

მსგავსი ჯიშის დასახელება	ნიშნები, რომლითაც განაცხადის ჯიშში განსხვავდება მსგავსისაგან	ნიშნის გამოხატვის ხარისხი	
		მსგავსი ჯიშში	კანდიდატი ჯიშში
_____	_____	_____	_____
_____	_____	_____	_____
_____	_____	_____	_____

10. დამატებითი ინფორმაცია, რომელიც დაგვეხმარება ჯიშთა გამოცდაში.

ა) ავადმყოფობისადმი გამძლეობა.

ბ) ჯიშის გამოსაცდელად განსაკუთრებული პირობები.

გ) განვითარების ტიპი: გაზაფხულის []
ზამთრის []

დ) სხვა ინფორმაცია

11. ნებართვა:

ა) საჭიროა თუ არა ჯიშზე წინასწარი ნებართვა, რათა დაშვებულ იქნეს მისი თესვა-მოყვანა კონკრეტულ პირობებში, თანახმად ბუნების დაცვის და სხვა კანონებისა?

დიახ [] არა []

ბ) მიღებული არის თუ არა ასეთი ნებართვა?

დიახ [] არა []

გ) თუ მიღებულია, დაურთეთ ნებართვის ასლი.

რიცხვი “-----” ----- წ. ხელმოწერა -----

დანართი №2

ტექნიკური რეგლამენტი – განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე მუხუდოს (Cicer arietinum L) ახალი ჯიშის მიმართ მოთხოვნები და გამოცდის მეთოდები

მუხლი 1. განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე მუხუდოს ახალი ჯიშის მიმართ მოთხოვნები და გამოცდის მეთოდების საგანი

განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე მუხუდოს ახალი ჯიშის მიმართ მოთხოვნები და გამოცდის მეთოდები (შემდგომში – მეთოდები) გამოყენებული უნდა იქნეს მუხუდოს ყველა ჯიშისათვის.

მუხლი 2. გამოცდის ჩატარებისათვის საჭირო მასალები

1. „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული აკრედიტებული პირები წყვეტენ როდის, სად, რა რაოდენობისა და ხარისხის მცენარეული მასალა უნდა იქნეს წარდგენილი მცენარის ჯიშის გამოცდის ჩატარებისათვის. პირი, რომელიც წარადგენს მცენარეულ მასალას, ვალდებულია დაიცვას აკრედიტებული პირების, მიერ დადგენილი პროცედურა და მოთხოვნები.

2. გამოსაცდელი ჯიშის მცენარეული მასალის მინიმალური რაოდენობა უნდა შეადგენდეს 3 000 მარცვალს.

3. გამოცდისათვის გადაცემული მცენარეული მასალის ხარისხობრივი მაჩვენებლები უნდა აკმაყოფილებდეს აღმოცენებადობის, თესლის სიწმინდის, მავნებელ-დავალებებით დასნებოვნების და ტენიანობის დადგენილ ნორმებს, ამასთან სასურველია, რომ თესლის აღმოცენების უნარი იყოს მაღალი.

4. ჯიშის გამოსაცდელად აკრედიტებული პირებისათვის მიწოდებული მცენარეული მასალა ქიმიური საშუალებებით არ უნდა იყოს დამუშავებული, თუ ამას მოითხოვენ აკრედიტებული პირები, ასეთ შემთხვევაში მცენარეულ მასალას თან უნდა ერთოდეს ქიმიური საშუალებებით დამუშავების მეთოდის დაწვრილებითი აღწერა.

მუხლი 3. გამოცდის მიმდინარეობა

1. გამოცდის ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს ორ სავსეგეტაციო პერიოდს.

2. მინდვრის კვლევა უნდა ჩატარდეს ერთ ადგილზე, ხოლო თუ ამ ადგილზე შეუძლებელია ჯიშის რომელიმე ნიშან-თვისების გამოკვლევა, მაშინ გამოცდა უნდა ჩატარდეს დამატებით სხვა ადგილზე.

3. მინდვრის კვლევა უნდა ჩატარდეს მცენარის ნორმალური ზრდა-განვითარების პირობებში, იმ მიზნით რომ გამოვლინდეს ჯიშის შესაბამისი მახასიათებლები.

4. კვლევა უნდა იქნეს შედგენილი არანაკლებ 100 მცენარის მისაღებად, რომელთა ორ იდენტურ ნაწილად დაყოფა შესაძლებელი იქნება.

5. კვლევა ისეთი სახის უნდა იყოს, რომ შესაძლებელ იქნეს მცენარეების ან მისი ნაწილების დამოუკიდებლად ამოღება და მათზე დაკვირვების ჩატარება, სავსეგეტაციო პერიოდის დასრულებამდე.

6. ყველა სახის დაკვირვება, რომელიც ითვალისწინებს გაზომვას, აწონვას და სხვა ანათვლების აღებას, წარმოებს 20 მცენარეზე ან ამ 20 მცენარიდან აღებულ ნაწილებზე.

7. დამატებითი გამოცდა შესაძლებელია ჩატარდეს შესაბამისი მახასიათებლების გამოსაკვლევად.

8. გამოცდის საფუძველზე მიღებული შედეგების მიხედვით დგება მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობა ანკეტის შესაბამისად (დანართი №2ა).

მუხლი 4. მეთოდები და დაკვირვება

1. განსხვავებულობის შეფასებისთვის მხოლოდ ერთი სავსეგეტაციო პერიოდი შეიძლება გახდეს საკმარისი. რაც იმას ნიშნავს, რომ მახასიათებლების სხვაობა საკმარის რაოდენობას შეიცავს იმისათვის, რათა კვლევა მოხდეს არანაკლებ ორ დამოუკიდებელ სავსეგეტაციო ციკლში.

2. ორ სახეობას შორის სხვაობის განსაზღვრისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მახასიათებლების გამოხატვის ფორმა ხარისხობრივ, რაოდენობრივ და ფსევდო-ხარისხობრივ მაჩვენებლებში.

3. ერთგვაროვნების შეფასებისათვის საჭიროა 1% პოპულაციური სტანდარტის გამოყენება. მიღებული ალბათობა უნდა შეადგენდეს 95%. ამ შემთხვევაში 100 მცენარიდან დასაშვებია არატიპური იყოს სამი.

4. თუ სახეობა ერთგვაროვანია, იგი მიიჩნევა სტაბილურად.

5. სტაბილურობის შესაფასებლად შესაძლებელია გამოვიყენოთ შემდგომი სახეობა, ან ჩატარდეს კვლევა ახალ მარცვალზე, რომელიც მახასიათებლის ანალოგიურია. თუ ჯიში არის ერთგვაროვანი, ის შეიძლება განვიხილოთ, როგორც სტაბილური.

6. ვარაუდის შემთხვევაში, სტაბილურობის გამოკვლევა შესაძლებელია შემდეგი თაობის გაზრდით ან ახალი თესლით, რათა დავრწმუნდეთ რომ იმავე მახასიათებლებს ამჟღავნებს, რაც წინა მასალაშია. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჯიში თაობაში არის სტაბილური.

მუხლი 5. ჯიშების დაჯგუფება

1. ცნობილ ჯიშებთან ერთად უნდა დაითესოს საცდელი ჯიშები, რათა გაადვილდეს განსხვავებულობაზე მათი შეფასება.

2. ჯგუფური მახასიათებლები უნდა იქნეს გამოყენებული როგორც ინდივიდუალურად, ასევე კომბინაციაში სხვა ნიშან-თვისებებთან:

ა) საყოველთაოდ ცნობილი ჯიშების გამოცდა განსხვავებულობაზე არ ჩატარდება;

ბ) გამოცდა უნდა ჩატარდეს ისე, რომ მსგავსი ნიშან-თვისებების ჯიშები ერთად დაჯგუფდნენ.

3. დაჯგუფების დახასიათებისთვის რეკომენდებულია შემდეგი ნიშან-თვისებების გამოყოფა:

ა) ყვავილი: შეფერილობა;

ბ) თესლი: შეფერილობა (სიმწიფიდან 1 თვის შემდეგ);

გ) თესლი: ფორმა;

დ) თესლი: ზოლი;

ე) ყვავილობის ხანგრძლივობა: (80% მცენარეებში არანაკლებ ერთი ყვავილისა).

მუხლი 6. ჯიშის ნიშან-თვისებები და აღნიშვნები

1. განსხვავებულობის, ერთგვაროვნების და სტაბილურობის შესაფასებლად გამოყენებული ნიშნები მოცემულია მე-7 მუხლით გათვალისწინებულ ნიშან-თვისებების ცხრილში.

2. ნიშანი (*) მიუთითებს, რომ მოცემული ნიშან-თვისება უნდა აღინიშნებოდეს ყოველ სავეგეტაციო პერიოდში ყველა ჯიშის შესაფასებლად და ყოველთვის ჩართული უნდა იქნას ჯიშის აღწერილობაში.

3. თითოეულ ნიშან-თვისებას მინიჭებული აქვს თავისი გამომხატველობა, იმისათვის რომ განესაზღვროთ მახასიათებლები.

მუხლი 7. ნიშან-თვისებების ცხრილი

№ UPOV	ნიშან-თვისება	გამოხატვის ხარისხი	ჯიშ-ეტალონი	ინდექსი
1. (*)	მცენარე: ზრდის ტიპი(ყვავილობის შემდეგ)	სწორი ნახევრად სწორი გართხმული	Cesari,Casoar,Castor,Jazz Sombrero Flamenco,Lambada Sirtaki	1 3 5
2.	მცენარე: განშტოება	სუსტი საშუალო ძლიერი	Castor, Jazz,Lambada Cascari,Rondo,Sombrero,flamenco	3 5 7
3. (*)	მცენარე: სიმაღლე (პარკის სრული განვითარებისას)	მოკლე საშუალო	Castor,Sombrero Cabri,Cascari,Sirtaki,Twist	3 5

		მალალი	Elvar,Lambada,Salsa	7
4.	ღერო: ანტოციანური	არ გააჩნია	Sirtaki Twist,flamenco	1
(*)	შეფერვა	გააჩნია	Castor, Sombrero	9
5.	ფოთოლი: მწვანე ფერის	ნათელი	Sirtaki	3
(*)	ინტენსივობა	საშუალო	Cascari,Salsa	5
		მუქი	Lambada,Rondo,Sombrero	7
6. (*)	ფოთოლაკი: ზომა	ძალიან პატარა	Castor	1
		პატარა	Flamenco,sirtaki	3
		საშუალო	Cascari,Salsa,twist	5
		განიერი	Casoar,Flamenco	7
		ძალიან განიერი	Lambada	9
7. (*)	ყვავილი: შეფერილობა	თეთრი	Sirtaki, Twist	1
		მეწამული	Castor, Sombrero	2
		ვარდისფერი		
8. (*)	პარკი: ყუნწის სიგრძე	მოკლე	Castor, Sombrero	3
		საშუალო	Cascari	5
		გრძელი	Flamenco,Jazz	7
9. (*)	პარკი: ზომა	ძალიან პატარა	Castor	1
		პატარა		3
		საშუალო	Rondo	5
		განიერი	Jazz	7
		ძალიან განიერი	Flamenco	9
10.	პარკი: მწვანე ფერის	ნათელი	Cascari,flamenco, Twist	3
	ინტენსივობა	საშუალო	Sombrero	5
		მუქი		7
11.	პარკი: წანაზარდის სიგრძე	მოკლე	Sombrero	3
		საშუალო	Cascari	5
		გრძელი	Flamenco,Jazz	7
12.	პარკი: თესლის რაოდენობა	მხოლოდ ერთი	Twist	1
(*)		ერთი და ორი	Elvar, Flamenco	2
(+)		მხოლოდ ორი	Cascari,Sombrero	
13.	თესლი: შეფერილობა	ყვითელი		1
(*)	(ნაყოფის სიმწიფიდან 1 თვის შემდეგ)	ღია ყავისფერი	Cabri,Sirtaki	2
		მოყვითალო		3
		ყავისფერი	Castor	4
		ყავისფერი	E04	5
		მოწითალო	Sombrero	6
		ყავისფერი		
		შავი		
14.	თესლი: შეფერილობის	ნათელი		3
	ინტენსივობა (როგორც 13)	საშუალო		5
		მუქი		7
15. (+)	თესლი: წონა	დაბალი	Pedrosillano	3
(*)		საშუალო	Amparo,amit,cabri,Cascari	5
		მაღალი	Bianka, Castellano, Jazz	7
		ძალიან მაღალი	Blanco lechoso,lambada,salsa	9
16.	თესლი: ფორმა	მრგვალი	Cascari,Elvar	1
(+)		მრგვალი	Flamenco,Sirtaki	2
(*)		კუთხოვანი	Castor,Sombrero	3

		კუთხოვანი		
17. (*)	თესლი: წიბო	არ გააჩნია ან ძალიან სუსტია სუსტი საშუალო ძლიერი ძალიან ძლიერი	Cabri, Cascari Flamenco, Jazz, Twist Sombbrero Castor	1 3 5 7 9
18. (*)	ყვავილობის დრო: (მცენარის 80% აქვს სულ ცოტა ერთი ყვავილი)	ძალიან ადრეული ადრეული საშუალო გვიანი ძალიან გვიანი	Salsa Cabri, Sirtaki Cascari, Sombbrero Casoar Castor	1 3 5 7 9
19. (*)	მშრალი თესლის სიმწიფის დრო	ძალიან ადრეული ადრეული საშუალო გვიანი	Castor Cabri, Casoar, Sombbrero Flamenco, Sirtaki Lambada, Salsa, Twist	1 3 5 7

მუხლი 8. დაკვირვების მიმდინარეობის ახსნა და მეთოდები

1. მახასიათებლები უნდა იყოს შესწავლილი ქვემოთ მოცემული პირობის მიხედვით:

ა) ფოთოლზე ყველა დაკვირვება უნდა ჩატარდეს მისი ყვავილობისას;

ბ) პარკზე ყველა დაკვირვება უნდა ჩატარდეს თესლის მწვანე სტადიაში მისი ზომის სრული განვითარების პერიოდში.

2. პარკი: თესლის რაოდენობა მხოლოდ ერთი ან ერთი და ორი ან მხოლოდ ორი.

3. თესლის წონა გაზომილი უნდა იქნეს 100 მარცვლიდან ორ ნიმუშზე.

4. თესლის ფორმა:



მრგვალი



მრგვალი კუთხისებური



კუთხისებური

დანართი №2^ა

ანკეტა

1. კულტურა მუხუდო
(ქართული დასახელება)

Cicer arietinum L
(ლათინური დასახელება)

2. განმცხადებელი (სახელი, გვარი, მისამართი) _____

3. ჯიშის დასახელება _____

4. ინფორმაცია ჯიშის გამოყვანაზე, წარმოშობაზე და გამრავლებაზე.

5. გამოყვანის ხერხი: ჯვარედინი

ა) კონტროლირებადი ჯვარედინი []
(მიუთითეთ მშობელი ჯიში)

ბ) ნახევრად ცნობილი ჯვარედინი []
(მიუთითეთ მშობელი ჯიში)

გ) უცნობი ჯვარედინი []

6. მუტაცია (მიუთითეთ მშობელი ჯიში) []

7. აღმოჩენა და განვითარება []
(მიუთითეთ როდის, სად აღმოჩნდა და როგორ განვითარდა)

8. სხვა (მიუთითეთ დეტალები) []

9. გამრავლების ხერხი:

ა) თვითდამტკერვა []

ბ) ჯვარედინი დამტკერვა []

გ) სხვა (მიუთითეთ დეტალები) []

10. ჯიშის ნიშან-თვისებები

№	ნიშან-თვისება	ინდექსი	გამოხატვის ხარისხი	ეტალონი ჯიში
1.	მცენარე: სიმაღლე (როდესაც პარკი სრულად განვითარებულია)	3[] 5[] 7[]	დაბალი საშუალო მაღალი	Castor, Sombrero Cabri, Cascari, Sirtaki, twist Elvar, Lambada, Salsa
2.	ყვავილი: შეფერილობა.	1[] 2[]	თეთრი მეწამული ვარდისფერი	Sirtaki, Twist Castor, Sombrero
3.	პარკი: თესლის რაოდენობა	1[] 2[] 3[]	მხოლოდ ერთი ერთი და ორი მხოლოდ ორი	Twist Elvar, Flamenco Cascari, Sombrero
4.	თესლი: შეფერილობა (ნაყოფის მომწიფებიდან 1 თვის	1[] 2[] 3[]	ყვითელი ღია ყავისფერი მოყვითალო ყავისფერი	Cabri, Sirtaki

	შემდეგ)	4[] 5[] 6[]	ყავისფერი მოწითალო ყავისფერი შავი	Castor E04 Sombbrero
5.	თესლი: წონა	3[] 5[] 7[] 9[]	დაბალი საშუალო მაღალი ძალიან მაღალი	Pedrosillano Amparo,Amit,Cabri,Cascari Bianka,Castellano,Jazz Blanco lechoso,lambada,salsa
6.	თესლი: ფორმა	1[] 2[] 3[]	ამრგვალი მრგვალი კუთხისებური კუთხისებური	Cascari, Elvar Flamenco, Sirtaki Castor, Sombbrero
7.	ყვავილობის დრო: (მცენარეთა 80% არანაკლებ ერთი ყვავილით)	1[] 3[] 5[] 7[] 9[]	ძალიან ადრეული ადრეული საშუალო გვიანი ძალიან გვიანი	Salsa Cabri,Sirtaki CAscari,Sombrero Casoar Castor
8.	მშრალი თესლის მომწიფების დრო	1[] 3[] 5[] 7[]	ძალიან ადრეული ადრეული საშუალო გვიანი	Castor Cabri,Casoar,Sombrero Flamenco,Sirtaki Lambada,Salsa, Twist

11. მსგავსი ჯიშები და მათგან განსხვავებები

მსგავსი ჯიშის დასახელება	ნიშნები, რომლითაც განაცხადის ჯიშში განსხვავდება მსგავსისაგან	ნიშნის გამოხატვის ხარისხი	
		მსგავსი ჯიშში	კანდიდატი ჯიშში
_____	_____	_____	_____
_____	_____	_____	_____
_____	_____	_____	_____

12. დამატებითი ინფორმაცია, რომელიც დაგვეხმარება ჯიშთა გამოცდაში.

ა) არის თუ არა კიდევ დამატებითი ნიშან-თვისებები რომელიც ჯიშის განსხვავებაში დაგვეხმარება?

დიახ [] არა []

ბ) საჭიროა თუ არა განსაკუთრებული პირობები ზრდისთვის ან გამოცდის ჩასატარებლად?

დიახ [] არა []

13. ნებართვა:

ა) საჭიროა თუ არა ჯიშზე წინასწარი ნებართვა, რათა დაშვებულ იქნეს მისი თესვა-მოყვანა კონკრეტულ პირობებში, თანახმად ბუნების დაცვის და სხვა კანონებისა?

დიახ [] არა []

ბ) მიღებული არის თუ არა ასეთი ნებართვა?

დიახ [] არა []

გ) თუ მიღებულია, დაურთეთ ნებართვის ასლი.

რიცხვი “-----” ----- წ. ხელმოწერა -----

დანართი №3

ტექნიკური რეგლამენტი – განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე ოსპის (*Lens culinaria* Medic.) ახალი ჯიშის მიმართ მოთხოვნები და გამოცდის მეთოდები

მუხლი 1. განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე ოსპის ახალი ჯიშის მიმართ მოთხოვნებისა და გამოცდის მეთოდების საგანი

განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე ოსპის ახალი ჯიშის მიმართ მოთხოვნები და გამოცდის მეთოდები (შემდგომში მეთოდები) გამოყენებული უნდა იქნეს ოსპის ყველა ჯიშისათვის.

მუხლი 2. გამოცდის ჩატარებისათვის საჭირო მასალები

1. „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული აკრედიტებული პირი წყვეტს როდის, სად, რა რაოდენობისა და ხარისხის მცენარეული მასალა უნდა იქნეს წარდგენილი მცენარის ჯიშის გამოცდის ჩატარებისათვის. პირი, რომელიც წარადგენს მცენარეულ მასალას, ვალდებულია დაიცვას აკრედიტებული პირის მიერ დადგენილი პროცედურა და მოთხოვნები.

2. გამოსაცდელი ჯიშის მინიმალური რაოდენობა უნდა შეადგენდეს 0,5 კილოგრამს ან 10 000 მარცვალს.

3. გამოცდისათვის გადაცემული მცენარეული მასალის ხარისხობრივი მაჩვენებლები უნდა აკმაყოფილებდეს აღმოცენებადობის, თესლის სიწმინდის, მავნებელ-დავალებებით დასნებოვნების და ტენიანობის დადგენილ ნორმებს, ამასთან სასურველია, რომ თესლის აღმოცენების უნარი იყოს მაღალი.

4. სათესლე მასალა არ უნდა იყოს დამუშავებული პესტიციდებით და სხვა ქიმიკატებით.

5. ჯიშის გამოსაცდელად აკრედიტებული პირისათვის მიწოდებული მცენარეული მასალა არ უნდა იყოს დამუშავებული ქიმიური საშუალებებით, თუ ამას არ მოითხოვს აკრედიტებული პირი, ასეთ შემთხვევაში მცენარეულ მასალას თან უნდა ერთვდეს ქიმიური საშუალებებით დამუშავების მეთოდის დაწვრილებითი აღწერა.

მუხლი 3. გამოცდის მიმდინარეობა

1. გამოცდის ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს ორ სავსეგეტაციო პერიოდს.

2. მინდვრის სტაციონარული ცდები უნდა ჩატარდეს კონკრეტული ზონისათვის ერთსა და იმავე ტიპიურ ადგილას, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მცენარის ნორმალური ზრდა-განვითარება, ორი სრული ვეგეტაციის პერიოდის განმავლობაში. ერთსა და იმავე დროს (დაუშვებელია მაგალითად რემონტატული ჯიშის გამოცდა გაზაფხულზე და შემოდგომაზე თესვის პირობებში). საჭიროების შემთხვევაში გამოცდა შეიძლება გაგრძელდეს კიდევ ერთი წელი დამატებით, ანალოგიურ პირობებში.

3. ჯიშში უნდა გამოიცადოს ისეთ პირობებში, სადაც ის მაქსიმალურად გამოავლენს მის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს. ყოველი შესაფასებელი ჯიშისათვის პირველ წელს გამოიყოფა არანაკლებ 100 მცენარე, ორ ან მეტ განმეორებად.

4. წინასწარ შესაფასებელი და მათი მსგავსი ჯიშები უნდა განთავსდეს მოსაზღვრე დანაყოფებზე. ცდაში განთავსებული უნდა იქნეს ასევე ეტალონური ჯიშების დანაყოფები.

კოლებით ფიქსაციის გარდა უნდა ტარდებოდეს მათი ციფრული კამერით გადაღება ცდომილების მინიმუმამდე დასაყვანად.

5. სპეციალური მიზნებისათვის შეიძლება ჩატარდეს დამატებითი გამოცდები ანალოგიურ პირობებში.

6. გამოცდის საფუძველზე მიღებული შედეგების მიხედვით დგება მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობა ანკეტის შესაბამისად (დანართი №3^ა).

მუხლი 4. მეთოდები და დაკვირვება

1. ორ ჯიშს შორის განსხვავების აღმოჩენა დამოკიდებულია გამოვლენილ ნიშან-თვისებების რაოდენობაზე და ხარისხობრივ მაჩვენებლებზე ან ფსევდო-ხარისხობრივ მაჩვენებლებზე.

2. გადახრილი მცენარეების რაოდენობა ერთ დანაყოფზე არ უნდა აღემატებოდეს 5 მცენარეს 100-დან.

3. ერთგვაროვნების შეფასებისას პარკ-მწკრივებში (ოჯახი), ან ცალკეულ მცენარეებზე გადახრა არ უნდა აღემატებოდეს 3%-ს (3-ს 100-დან).

4. საექვო მწკრივებიდან (ოჯახიდან) მიღებული მცენარეების თესლი, რომელიც გამოირჩა დაკვირვების პირველ წელს, ითესება მეორე წელს ამისთვის მომზადებულ ცალკე დანაყოფზე არაერთგვაროვნების მიზეზების გამოსარკვევად ცდომილების მაქსიმალურად გამორიცხვის მიზნით.

5. გამოცდილი ჯიშები, რომლებშიც არატიპური მცენარეების რაოდენობა აღემატება ზემოაღნიშნულ დასაშვებ რაოდენობას, ერთგვაროვნების კრიტერიუმით მიიჩნევა არადადამაკმაყოფილებლად.

მუხლი 5. ჯიშების დაჯგუფება

1. განსხვავებულობის შესაფასებლად გამოსაცდელი და მსგავსი ჯიშების კოლექციების შესასწავლი ჯიშების ნიმუშები უნდა დაიყოს ჯგუფებად. დაჯგუფებისათვის გამოიყენება ისეთი ნიშან-თვისებები, რომლებიც ცდაში არ ცვალებადობს ან ცვალებადობა უმნიშვნელოა და კოლექციაში წარმოდგენილია თანაბრად.

2. ჯიშების დახასიათებისათვის რეკომენდებულია შემდეგი ნიშან-თვისებების გამოყოფა:

ა) ლეხანი: ფერი;

ბ) მცენარე; ანტოციანური შეფერილობა;

გ) ყვავილი: სტანდარტის ფერი;

დ) მშრალი მარცვალი: ფერების (შეფერილობის) რაოდენობა;

ე) მშრალი მარცვალი: კანის ძირითადი ფერი.

მუხლი 6. ჯიშის ნიშან-თვისებები

1. განსხვავებულობის, ერთგვაროვნების და სტაბილურობის შესაფასებლად გამოყენებული ნიშნები მოცემულია მე-7 მუხლით გათვალისწინებულ ნიშან-თვისებების ცხრილში.

2. ცხრილში ვარსკვლავით (*) არის აღნიშნული ის ნიშან-თვისებები, რომლებიც მეტად მნიშვნელოვანია ჯიშების აღწერისათვის. ნიშანი (*) აგრეთვე მიანიშნებს, რომ მოცემული ნიშნით უნდა აღინიშნოს ყოველ სავსეგეტაციო პერიოდში ყველა ჯიშში შეფასების დროს და ყოველთვის უნდა ერთოდეს ჯიშის აღწერილობას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც წინა ნიშნის გამოხატვის ხარისხი არ აღინიშნება, ან გარემო პირობები არ იძლევა ამის საშუალებას.

3. აღნიშვნა (+) ნიშნავს, რომ ნიშნის აღწერას მეთოდებში ერთვის დამატებითი განმარტებები ან ილუსტრაციები.

მუხლი 7. ნიშან-თვისებათა ცხრილი


№ UPOV	ნიშან-თვისება	გამოხატვის ხარისხი	ჯიშ-ეტალონი	ინდექსი
1. (*)	ლებანი: ფერი	ნარინჯისფერი მომწვანო-ყვითელი მწვანე	Lentillon rose d'hiver, Rozovaya Anicia, Mariette, Petrovskaya 4/105 Petrovskaya zelenozornaya	1 2 3
2. (+)	მცენარე: დგომა	სწორმდგომი ნახევრად დახრილი ჰორიზონტალური	Petrovskaya 4/105 Anicia Cheephlic 7/76	1 3 5
3. (*)	მცენარე: ანოტაციური შეფერილობა	აქვს არა აქვს	PSE 2 Lentillon rose d'hiver, Rozovaya	1 9
4. (*)	მცენარე: სიმაღლე ყვავილობის დროს	დაბალი საშუალო მაღალი ძალიან მაღალი	lentillon rose d'hiver, Rozovaya Anicia, Cheephlic 7/76 Mariette, Petrovskaya 4/105 Vehovskaya	3 5 7 9
5. (*)	მცენარე: დატოტვის ინტენსივობა	სუსტი საშუალო ძლიერი	Vehovskaya Cheephlic 7/76	3 5 7
6. (+)	ფოთოლი: ფორმა	ელიფსური ოვალური ოთხკუთხედი	Talinskaya 88 Petrovskaya 4/105 Vehovskaya	1 2 3
7. (*)	ფოთოლი: მწვანე ფერის ინტენსივობა	ღია საშუალო მუქი	Sirtaki, Twist Castor, Sombrero	1 2
8.	პარკი: ყუნწის სიგრძე	მოკლე საშუალო გრძელი	Vehovskaya Anicia Lentillon rose d'hiver, Petrovskaya zelenozjornaia	3 5 7
9.	ფოთოლი: ფოთოლაკების რაოდენობა	ცოტა საშუალო რ-ბა ბევრი	Anicia Lentillon rose d'hiver	3 5 7
10.	ფოთოლი: ზომა	პატარა საშუალო დიდი	Santa Anicia Lentillon rose d'hiver	3 5 7
11.	მტევანი: ყვავილების რ- ბა ყოველ კანძზე	ერთი ერთიდან ორამდე ორი ორიდან სამამდე სამი სამზე მეტი	Lentillon rose d'hiver Anicia, Petrovskaya 4/105 Dora, Flora PSE 2	1 2 3 4 5 6
12.	ყვავილი: ზომა	პატარა საშუალო დიდი	Petrovskaya 4/105	3 5 7
13.	ყვავილი: სტანდარტის ფერი	თეთრი მელნისფერი ცისფერი	PSE 2 Azer	1 2 3
14.	ყვავილი: სტანდარტი იისფერი ხაზებით	არ აღენიშნება აღენიშნება	Anicia, Lentillon rose d'hiver	1 9
15.	ყვავილი: იისფერი ხაზები წიბოებზე	არ აღენიშნება აღენიშნება	Anicia, Lentillon rose d'hiver <i>Lens culinarius ssp.</i>	1 9

			<i>macrosperma</i>	
16.	პარკი: ფერის ინტენსიობა (სრული სიმწიფის ფაზაში)	ღია საშუალო მუქი	Marriete Anicia, Lentillon rose d'hiver	3 5 7
17.	პარკი: თესლების რ-ბა	ძირითადად ერთი ერთიდან ორამდე ძირითადად ორი ორიდან სამამდე ძირითადად სამი	Anita, Tina Lentillon rose d'hiver Anicia	1 2 3 3 5
18. (*)	პარკი: ფერი ასაღები სიმწიფის ფაზაში	ყვითელი მწვანე	Anicia, Lentillon rose d'hiver	1 2
19 (*)	პარკი: სიგრძე ასაღები სიმწიფის ფაზაში	მოკლე საშუალო სიგრძის გრძელი	Anicia, Lentillon rose d'hiver Mariette	3 5 7
20.	პარკი: სიგანე ასაღები სიმწიფის ფაზაში	ძალიან ვიწრო ვიწრო საშუალო განიერი	Lentillon rose d'hiver Anicia	1 3 5 7
21. (+)	პარკი: წვერის ფორმა	შემოკლებული შემოკლებული წაწვეტებული წაწვეტებული	Anicia, Lentillon rose d'hiver	1 2 3
22. (*)	მშრალი თესლი: სიგანე	ძალიან ვიწრო ვიწრო საშუალო განიერი ძალიან განიერი	Lentillon rose d'hiver Anicia Mariette	1 3 5 7 9
23.(*)	მშრალი თესლი: ვერტიკალური გასწვრივითი კვეთის პროფილი	ელიფსური განიერი ელიფსური ფორმის	Petrovskaya 4/105 PSE 2	1 2
24. (*)	მშრალი თესლი: ფერების რ-ბა	ერთი ორი ორზე მეტი	Grisette Lentillon rose d'hiver Anicia	1 2 3
25. (*)	მშრალი თესლი: კანის ძირითადი ფერები	თეთრი მომწვანო ყვითელი მწვანე მელნისფერი ღია ყავისფერი შავი	PSE 2 Anicia, Petrovskaya 4/105, Pisarevska velkoznna Anicia, Petrovskaia zelenozjomnaya, Tina Rosovaya Lentillon rose d'hiver nigricans	1 2 3 4 5 6
26. (+)	მხოლოდ ერთზე მეტი ფერის თესლის კანის მქონე ჯიშები: მშრალი თესლი: შეფერილობის სახე	უჯრედოვანი ლაქებით მარმარილოსებრი მრავალფეროვანი სახე	nariadnaya 3 Petrovskaia 4/105	1 2 3 4
27. (*)	მშრალი თესლი: მასა	ძალიან დაბალი დაბალი	Lentillon rose d'hiver Anicia, Azer	1 3

		საშუალო მაღალი	Anita, Petrovskaya 4/105 Marette, Petrovskaya 6 Tina	5 7
		ძალიან მაღალი	Vehovskaya	9
28. (*)	ყვავილობის პერიოდი	ძალიან ადრეული ადრეული საშუალო გვიანი ძალიან გვიანი	Anicia, Anita, Tina Marette, Petrivskaja 4/105 Lentillon rose d'hiver	1 3 5 7 9
29. (*)	მომწიფების პერიოდი	საადრეო საშუალო საგვიანო ძალიან საგვიანო	Cheephlic 7/76 Petrovskaja 4/105 Lentillon rose d'hiver	3 5 7 9


მუხლი 8. ნიშან-თვისებები

1. მცენარე: აგებულება




1

სწორმდგომი



3


დატოტვილი



5

ჰორიზონტალური

2. ფოთოლი: ფორმა




1
ელიფსური

2
ოვალური

3
მართკუთხედი

3. პარკი: წვერის ფორმა (სრული სიმწიფის ფაზაში)




1
შემოკლებული

2
შემოკლებული წაწვეტებული


3
წაწვეტებული

4. მხოლოდ ერთზე მეტი ფერის თესლის კანის მქონე ჯიშები, მშრალი თესლი, შეფერილობის სახე:



1

უჯრედოვანი



2

ლაქებით



3

მარმარილოსებრი



4

მრავალფეროვანი

დანართი №3

ანკეტა

1. კულტურა - ოსპი
(ქართული დასახელება)

Lens culinaris Medic.
(ლათინური დასახელება)

2. განმცხადებელი (სახელი, გვარი, მისამართი) _____

3. ჯიშის დასახელება _____

4. ინფორმაცია ჯიშის გამოყვანაზე, წარმოშობაზე და გამრავლებაზე.

5. ჯიშის სახეობა:

ა) ღიად დამტვერილი ჯიში

[]

ბ) სხვა (მიუთითეთ დეტალები)

[]

6. გენეტიკური ან სელექციური მეთოდი:

7. სხვა ინფორმაცია:

8. დამატებითი ინფორმაცია, რომელიც შეიძლება დაეხმაროს ჯიშის გამოცდას

ა) არის თუ არა დამატებითი ნიშან-თვისებები, რომლებიც შეიძლება დაეხმაროს ჯიშის განსხვავებაში?

დიახ []

არა []

ბ) ჯიშის გამოცდის სპეციალური პირობები:

გ) არის თუ არა ჯიშის გამოცდის განსაკუთრებული პირობები ან სახელმძღვანელო?

დიახ []

არა []

დ) თუ არის, გთხოვთ მოგვაწოდოთ დეტალები:

9. ნებართვა:

ა) საჭიროა თუ არა ჯიშზე წინასწარი ნებართვა, რათა დაშვებულ იქნეს მისი თესვა-მოყვანა კონკრეტულ პირობებში, თანახმად ბუნების დაცვის და სხვა კანონებისა?

დიახ []

არა []

ბ) მიღებული არის თუ არა ასეთი ნებართვა?

დიახ []

არა []

გ) თუ მიღებულია, დაურთეთ ნებართვის ასლი.

რიცხვი “-----” ----- წ. ხელმოწერა -----

დანართი №4

ტექნიკური რეგლამენტი - განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე სოიას (*Glycine max* (L.) Merrill) ახალი ჯიშის მიმართ მოთხოვნები და გამოცდის მეთოდები

მუხლი 1. განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე სოიას ახალი ჯიშის მიმართ მოთხოვნებისა და გამოცდის მეთოდების საგანი

განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებაზე და სტაბილურობაზე სოიას ახალი ჯიშის მიმართ მოთხოვნები და გამოცდის მეთოდები (შემდგომში – მეთოდები) გამოყენებული უნდა იქნეს სოიას ყველა ჯიშისათვის.

მუხლი 2. გამოცდის ჩატარებისათვის საჭირო მასალები

1. „ცხოველთა და მცენარეთა ახალი ჯიშების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად განსაზღვრული აკრედიტებული პირები წყვეტენ როდის, სად, რა რაოდენობისა და ხარისხის მცენარეული მასალა უნდა იქნას წარდგენილი მცენარის ჯიშის გამოცდის ჩატარებისათვის. პირი, რომელიც წარადგენს მცენარეულ მასალას, ვალდებულია დაიცვას აკრედიტებული პირების მიერ დადგენილი პროცედურა და მოთხოვნები.

2. გამოსაცდელი ჯიშის მცენარეული მასალის მინიმალური რაოდენობა უნდა შეადგენდეს 2 კილოგრამს და გამოცდისათვის გადაცემული მცენარეული მასალის ხარისხობრივი მაჩვენებლები უნდა აკმაყოფილებდეს აღმოცენებადობის, თესლის სიწმინდის, მავნებელ-დაავადებებით დასნებოვნების და ტენიანობის დადგენილ ნორმებს, ამასთან სასურველია, რომ თესლის აღმოცენების უნარი იყოს მაღალი.

3. ჯიშის გამოსაცდელად აკრედიტებული პირებისათვის მიწოდებული მცენარეული მასალა ქიმიური საშუალებებით არ უნდა იყოს დამუშავებული, თუ ამას არ მოითხოვენ აკრედიტებული პირები, მაშინ მცენარეულ მასალას თან უნდა ერთოდეს ქიმიური საშუალებებით დამუშავების მეთოდის დაწვრილებითი აღწერა.

მუხლი 3. გამოცდის მიმდინარეობა

1. გამოცდის ხანგრძლივობა უნდა შეადგენდეს ორ სავსეგეტაციო პერიოდს.

2. მინდვრის კვლევა უნდა ჩატარდეს ერთ ადგილზე, ხოლო თუ ამ ადგილზე შეუძლებელია ჯიშის რომელიმე ნიშან-თვისების გამოკვლევა, მაშინ გამოცდა უნდა ჩატარდეს დამატებით სხვა ადგილზე.

3. მინდვრის კვლევა უნდა ჩატარდეს მცენარის ნორმალური ზრდა-განვითარების პირობებში. მიწის დანაყოფის ფართობი უნდა შეირჩეს ისე, რომ სავსეგეტაციო პერიოდის ბოლომდე ჩასატარებელ დაკვირვებას და აღრიცხვას ხელი არ შეეშალოს. ყოველ სავსეგეტაციო პერიოდში, დაკვირვება ტარდება 300 მცენარეზე, კვლევა ტარდება ორ განმეორებად.

4. დამატებითი კვლევის ჩატარება შესაძლებელია სპეციალური მიზნით.

5. გამოცდის საფუძველზე მიღებული შედეგების მიხედვით დგება მცენარის ახალი ჯიშის აღწერილობა ანკეტის შესაბამისად (დანართი №4^ა).

მუხლი 4. მეთოდები და დაკვირვება

1. განსხვავებულობაზე და სტაბილურობაზე ყველა დაკვირვება წარმოებს 20 მცენარეზე ან ამ 20 მცენარიდან აღებულ ნაწილებზე.

2. ერთგვაროვნების შეფასებისათვის საჭიროა 0,5% პოპულაციური სტანდარტის გამოყენება, მიღებული ალბათობა უნდა შეადგენდეს 95%-ს, ამ შემთხვევაში 300 მცენარიდან არატიპური დასაშვებია იყოს მაქსიმუმ 4.

3. ყველა დაკვირვება ფოთოლზე და ყვავილზე უნდა შესრულდეს ყვავილობის ფაზის დასრულებამდე.

მუხლი 5. ჯიშების დაჯგუფება

1. განსხვავებულობის შესაფასებლად ჯიშების კოლექცია შეიძლება დაიყოს ჯგუფებად. ჯიშების დაჯგუფებისათვის გამოიყენება ისეთი ნიშან-თვისებები, რომლებიც ცდაში არ ცვალებადობს, ან ცვალებადობა უმნიშვნელოა და კოლექციაში წარმოდგენილია თანაბრად.

2. ჯიშის დახასიათებისთვის რეკომენდებულია შემდეგი ნიშან-თვისებების გამოყენება:

- ა) მცენარე: ახალგაზრდა ღეროს კანის ფერი;
- ბ) ყვავილი: ფერი;
- გ) თესლი;
- დ) მცენარე: სიმწიფის დრო.

მუხლი 6. ჯიშის ნიშან-თვისებები და აღნიშვნები

1. განსხვავებულობის, ერთგვაროვნების და სტაბილურობის შესაფასებლად გამოყენებული ნიშნები მოცემულია მე-7 მუხლით გათვალისწინებულ ნიშან-თვისებების ცხრილში.

2. შედეგების ელექტრონული დამუშავებისათვის ნიშან-თვისებების გამოკვეთილობის სიდიდეებს მინიჭებული აქვს ინდექსები.

3. ნიშანი (*) მიუთითებს, რომ მოცემული ნიშან-თვისება უნდა აღინიშნებოდეს ყოველ სავეგეტაციო პერიოდში ყველა ჯიშის შესაფასებლად და ყოველთვის ჩართულ იქნეს ჯიშის აღწერილობაში, იმ შემთხვევის გამოკლებით, როცა წინამორბედი ნიშნის გამოკვეთის ხარისხი უფრო მეტად მიუთითებს მის არარსებობას, ანდა როცა გარემო პირობების გამო ამის გაკეთება შეუძლებელია;

4. ნიშანი (+) მიუთითებს, რომ ნიშან-თვისების აღწერილობას მეთოდებში თან ახლავს მე-7 მუხლში დამატებითი ახსნა-განმარტებები.

მუხლი 7. ნიშან-თვისებების ცხრილი

№ UPOV	ნიშან-თვისება	გამოხატვის ხარისხი	ჯიშ-ეტალონი	ინდექსი
1. (*)	ნათესარი: ანტოციური შეფერვა	აარ გააჩნია გააჩნია	Chandor, Goldor Alaric, Apache, Imari	1 9
2.	ნათესარი: ანტოციანური შეფერვის ინტენსივობა	ძალიან სუსტი შუსტი საშუალო ძლიერი ძალიან ძლიერი.	Azzurra Akashi, Candir Canton, Kendo Aries, Visir	1 3 5 7 9
3(*).(+)	მცენარე:ზრდის ტიპი	დეტერმინანტი ნახევრად დეტერმინანტი დეტერმინანტიდან ინდეტერმინანტამდე ინდეტერმინანტი.	Gnome, Spot, Fiskeby Alaric, Alba, Silvia, Paradis Chandor, Kador	1 2 3 4
4. (+)	მცენარე: ღეროს მდგომარეობა	ვერტიკალური ვერტიკალური ნახევრად ვერტიკალურისკენ ვერტიკალური ნახევრადვერტიკალური ჰორიზონტალურისკენ ჰორიზონტალური	Tirol, Queen, Essor, Labrador Chandor, Apache, Paoki Alaric, Major, Sapporo	1 2 3 4 5
5. (+)	მცენარე: ღეროს ფერი	ნაცრისფერი ჩალისფერი	Apache, Alaric, Talon, Imari Maple Glen, Chandor, Paoki, Agata	1 2
6. (*)	მცენარე:სიმაღლე	დაბალი დაბალი საშუალოსკენ საშუალო საშუალო მაღალისკენ მაღალი	Carla, Paradis, Spot Trump, Essor Alaric, Chandor Kador Tirol, Toréador	3 4 5 6 7
7. (*)	ფოთოლი:	გოფირებული		

		არ აღინიშნება ან ძალიან სუსტია სუსტი საშუალო ძლიერი ძალიან ძლიერი	Bayou, Arpège, Chandor Kador, Quito Paoki, Imari Matador	1 3 5 7 9
8. (*)	ფოთოლი: ფორმა შუა მესამედში	ლანცეტოიდური სამკუთხოვანი მახვილი ოვალური მომრგვალო ოვალური	Toréador, Dumas, Trésor Contessa Kador, Major, Apache, Talon Paoki, Agata, Chandor	1 2 3 4
9. (*)	ფოთოლი: ფოთოლაკის ზომა	წვრილი საშუალო მსხვილი	Trump, Labrador, Baron, Arcade Alaric, Kushiro, Talon Williams	3 5 7
10. (+)	ფოთოლი: მწვანე ფერის ინტენსივობა	წითელი საშუალო მუქი	Chandor, Arcade, Junior Alaric, Apache, Imari Spot. Cresir, Jedor, Ardir	3 5 7
11.	ყვავილი: ფერი	თეთრი იისფერი	Chandor, Crésir, Toréador Fransoy 242, Imari, Apache, Queen	1 2
12.	ღერო: ყავისფერი ფერის ინტენსივობა	ღია საშუალო მუქი	Chandor, Contessa, Alba, Arcade Alaric, Apache, Fuji, Paoki Toréador, Tirol, Royal	3 5 7
13.	თესლი: ზომა	პატარა საშუალო მსხვილი	Alba, Aurélia, Flusk GT 512 Queen, Goldor Clédor, Cervin, Mondor	3 5 7
14.	თესლი: ფორმა	სფეროსებური სფეროსებური ბრტყელი წაგრძელებული წაგრძელებული ბრტყელი	Paoki, Valkir, niva Queen, Sapporo, Clédor Soleo, Talon, Excel, Recor	1 2 3 4
15. (+)	თესლი: ჩანასახის ფერი	ყვითელი მოყვითალო მწვანე მწვანე მცირედ ყავისფერი საშუალო ყავისფერი ძლიერი ყავისფერი შავი	Queen, Paoki	1 2 3 4 5 6 7
16.	თესლი:	არ გააჩნია გააჩნია	Bragg Hood, Hood 75	1 2
17.	თესლი: ბორცვაკის ფერი	ნაცრისფერი ყვითელი	Spot, Major, Apache Maple Arrow, Imari,	1 2

		მცირედ ყავისფერი ძლიერ ყავისფერი	Talon Kingsoy, Argenta, Baron, Opale Fransoy 242, Aurélia, Léman	3 4
		არასრულად შავი შავი	Wells, Kador, Folio Chandor, Queen, Paoki	5 6
18. (+)	თესლი:	ჩანასახის მსგავსი ჩანასახისგან განსხვავებული	Queen Gieso	1 2
19. (*)	მცენარე: დრო ყვავილობის დაწყებამდე	ძალიან ადრეული ძალიან ადრეული ან ადრეული ადრეული საშუალოდ ადრეული საშუალო საშუალო საგვიანო საგვიანო საგვიანო ან ძალიან საგვიანო	Sito, Trump, Carla, Paradis Labrador, Essor, Arcade Canton, Queen, Imari Kador, Alaric, niva Williams	1 2 3 4 5 6 7 8 9
20. (*) (+)	მცენარე: სიმწიფის დრო	ძალიან ადრეული ძალიან ადრეული ან ადრეული ადრეული საშუალოდ ადრეული საშუალო საშუალო საგვიანო საგვიანო საგვიანო ან ძალიან საგვიანო ძალიან საგვიანო	Trump, Soléo, Kola, Carla, Paradis Chandor, Apache, Labrador Canton, Queen, Paoki, Aurélia Kador, Kingsoy, Alaric, niva Williams	1 2 3 4 5 6 7 8 9

მუხლი 8. მეთოდები და დაკვირვება

1. მცენარე - ზრდის ტიპი:

ა) დაკვირვება: ყვავილობის პერიოდის დასაწყისში (ერთი ყვავილი ძირითადი ღეროს ნებისმიერ დონეზე) მცენარის წვერო უნდა მოინიშნოს სპეციფიურად. მომწიფების პერიოდში (ნაყოფის ნასკვების რაოდენობა, რომელიც აღირიცხება ნაყოფის მონიშვნის ადგილიდან ღეროს წვერომდე) საშუალო რაოდენობა თითოეული სახეობის უნდა შედარდეს იმავე სახეობის სტანდარტულად მიღებულ რაოდენობას;

ბ) განლაგება: ეს მახასიათებელი უნდა შეფასდეს სპეციფიკური ცდით, სადაც იქნება 20 მცენარის 3 ან 4 ნიმუში. თითოეულ მცენარეს შორის მანძილი უნდა იყოს 9 სმ და დაცული უნდა იყოს იზოლაცია;

გ) ბოლო ფოთლის ზომა ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს დეტერმინანტის ინდეტერმინანტისაგან გამოსაყოფად. დეტერმინანტის ძირითად ღეროზე განლაგებული ბოლო ფოთოლი ზომით დაახლოებით ქვედა დონეზე განლაგებული ფოთლების ზომისაა. სხვა სახეობებში ბოლო ფოთოლი გაცილებით პატარაა.



დეტერმინანტი

ინდეტერმინანტი

2. ინტენსიუ ღეროვან მცენარეობა




ღეროვანობა


ღეროვანობა

ნახევრად ღეროვანობა

ნახევრად ღეროვანობის მქონე



4. გუბიკი დაზიანება და გუბიკი დაზიანება.



4. თესლი - პეროქსიდაზას აქტივობით გამოწვეული შეფერილობა. თითოეული სახეობის 20 ცალი თესლის შემოწმება:

ა) ჩანასახის დაზიანების გარეშე საჭიროა თესლზე გარეთა გარსის მოშორება. ამ პროცედურის გასაადვილებლად საჭიროა თესლის 2 საათით წყალში მოთავსება;

ბ) თესლის გარსი უნდა მოთავსდეს სათანადო კოლბაში და დაესხას 3-4 სმ კუბი 0,5% გუბიკის ხსნარი, რომელიც უნდა ინახებოდეს მაცივარში არაუმეტეს 2 თვისა. თუ მას დავტოვებთ ოთახის ტემპერატურაზე ერთ ან მეტ დღეს, იგი გამოსაყენებლად უვარგისია. 10 წუთის შემდეგ ემატება 0,1% წყალბადის ზეჟანგის 1 წვეთი, ხსნარი ხდება ყავისფერი ან მუქი წითელი პოზიტიური რეაქციის შემთხვევაში ან არ იცვლის ფერს ნეგატიური რეაქციის დროს. იმისათვის, რომ შემოწმდეს 0,5% გუბიკის ხსნარი+წყალბადის ზეჟანგი, რეკომენდებულია მასში სანიმუშო თესლის მოთავსება. ამ რეაქციის ჩანაწერი უნდა გაკეთდეს არაუმეტეს 60 წამისა და არ უნდა გაგრძელდეს დაკვირვება ამაზე მეტ ხანს, რადგან დასაშვებია უარყოფითი შედეგის მიღება. კოლბა უნდა შეინჯდეს ფრთხილად, რათა რეაქცია კარგად წარიმართოს და მოთავსდეს თეთრ ფონზე.

5. ფენოლოგიური ზრდის სტადიები და BBCH-საიდენტიფიკაციო კოდები სოიას მარცვლის შესახებ. * ძირითადი ზრდის სტადიები 0: ჩანასახი 2 ან 3 ციფრი.

- ა) 00 000 მშრალი თესლი;
- ბ) 01 001 თესლის გაჯირჯვების დასაწყისი;
- გ) 03 003 თესლის გაჯირჯვების დასასრული;
- დ) 05 005 ჩანასახის აღმოცენება თესლიდან;
- ე) 06 006 ჩანასახის დაგრძელება;
- ვ) 07 007 ზრდის წვერის გამოსვლა თესლის გარსიდან;
- ზ) 08 008 ზრდის წვერი აღწევს ნიადაგის ზედაპირს და ჩანს რკალი;
- თ) 09 009 აღმოცენება: ზრდის წვეროს ამოსვლა მიწის ზედაპირზე.

6. ძირითადი ზრდის სტადია 1: ფოთლის განვითარება(ძირითადი ამონაყარი)

- ა) 10 100 ფოთოლაკის სრული გაშლა;
- ბ) 11 101 ნამდვილი ფოთლების პირველი წყვილის სრული გაშლა;
- გ) 12 102 სამწახნაგოვანი ფოთლის გაშლა მე-2 მუხლიდან;
- დ) 13 103 სამწახნაგოვანი ფოთლის გაშლა მე-3 მუხლიდან;
- ე) 1 10 მდგომარეობა გრძელდება;...
- ვ) 19 109 იშლება მე-9 მუხლიდან. გვერდითი გამონაზარდები არ ჩანს;
- ზ) 110 იშლება მე-10 მუხლიდან;
- თ) 111 იშლება მე-11 მუხლიდან;
- ი) 112 იშლება მე-12 მუხლიდან;
- კ) 113 იშლება მე-13 მუხლიდან;
- ლ) 11 მდგომარეობა გრძელდება;...
- მ) 119 იშლება მე-19 მუხლიდან.

7. ძირითადი ზრდის სტადია 2: გვერდითი წამონაზარდების წარმოქმნა.

- ა) 21 20 პირველი გვერდითი წანაზარდების გამოჩენა;
- ბ) 22 202 შეიმჩნევა პირველი რიგის მე-2 წამონაზარდი;
- გ) 23 203 შეიმჩნევა პირველი რიგის მე-3 წამონაზარდი;
- დ) 2 2 მდგომარეობა გრძელდება;
- ე) 29 209 პირველის მე-9 და შემდგომი გვერდითი წანაზარდი, პირველის მე-10 გვერდითი წანაზარდი;
- ვ) 210 მე-10 გვერდითი წანაზარდი პირველი რგოლიდან;
- ზ) 221 მე-2 მუხლიდან პირველი გვერდითი წამონაზარდი;
- თ) 22 მდგომარეობა გრძელდება;
- ი) 229 მე-2 რიგის მე-9 გვერდითი წამონაზარდის გამოჩენა;
- კ) 2N1 მე-9 რიგის პირველი გვერდითი წამონაზარდის გამოჩენა;
- ლ) 2N9 მე-9 რიგის მე-9 გვერდითი წამონაზარდის გამოჩენა.

8. ძირითადი ზრდის სტადია 3: მცენარის ვეგეტატიური ნაწილების გამოჩენა ძირითად ღეროზე - 49 409 მცენარის ვეგეტატიური ორგანოები აღწევს საბოლოო ზომას (შესაძლებელია სოიას მოჭრა საკვებად გამოსაყენებლად).

9. ძირითადი ზრდის სტადია 4: ყვავილის ფორმირება

- ა) 51 501 პირველი ყვავილის ჩანასახის გამოჩენა;
- ბ) 55 505 პირველი ყვავილის ჩანასახის გადიდება;
- გ) 59 509 პირველი ყვავილის ფურცლის გამოჩენა. ყვავილის ჩანასახი

დაკეტილია.

10. ძირითადი ზრდის სტადია 5: ყვავილობა

- ა) 60 600 პირველი ყვავილის გაშლა;
- ბ) 61 601 ყვავილობის დაწყება, როცა ყვავილების 10% ღიაა ყვავილობის დაწყება;
- გ) 62 602 20% ყვავილების ღიაა;
- დ) 63 603 30% ყვავილების ღიაა;
- ე) 64 604 40% ყვავილების ღიაა;
- ვ) 65 605 სრული ყვავილობა: 50% ყვავილების ღიაა;
- ზ) 66 606 60% ყვავილების ღიაა;
- თ) 67 607 ყვავილობის დასრულებისაკენ სვლა;
- ი) 69 609 ყვავილობის დასასრული: პირველი ნაყოფის გამოჩენა (5მმ სიგრძის).

11. ძირითადი ზრდის სტადია 6: ნაყოფის და თესლის განვითარება

- ა) 70 700 პირველი ნაყოფის საშუალო სიგრძე (15-20მმ);
- ბ) 71 701 10% ნაყოფის აღწევს სრულ სიგრძეს (15-20მმ);
- გ) 72 702 20% ნაყოფი აღწევს საშუალო სიგრძეს (15-20მმ);
- დ) 73 703 30% ნაყოფი აღწევს საშუალო სიგრძეს (15-20მმ);
